N 109 13/06/2017

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი 8

დ. ჩოხატაური *31 მაისი, 2017 წელი*

სხდომის თავმჯდომარე- ზაალ მამალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები:

ვლადიმერ სიხარულიძე, ქეთევან სიხარულიძე, გოჩა სეხნიაშვილი, აკაკი ყაჭეიშვილი, დავით ტყეშელიაძე, ლაშა თოლორდავა, გოჩა ჯიქია, გიორგი რამიშვილი, რამაზი უჯმაჯურიძე, ოთარი სოროზანიშვილი, ერეკლე უღრელიძე, თემურ ხუხუნაიშვილი, დათო ვაჩეიშვილი, ალეკო კვინტრაძე, დავით გუდავაძე, მარინე ბერაძე, გოჩა თოდრია, კობა კალანდაძე, ზვიადი მამალაძე, მაია პაიჭაძე, ირაკლი ახობაძე, მამია ბარამიძე, დიმიტრი კორიფაძე, მამია ბარამიძე (ერთიანი ნაციონალური მოძრაობა), გოდერძი გოგიშვილი, რომანი ჯულაყიძე , არჩილ სიხარულიძე,კლოდი მდინარაძე, თამაზი დევიძე.

არ ესწრებოდნენ: უშანგი ართმელაძე, ალექსანდრე შარაშიძე, მალხაზ ჩხიკვაძე, დავით ტრაპაიძე, მაია გიორგაძე, გია გვენეტაძე, მანანა მინდაძე, შალვა ჩანტლაძე.

მოწვეული მუნიციპალიტეტის გამგეობიდან:

ნიკოლოზ დუმბაძე- გამგეობის სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის უფროსი.

მაია გოგოლაძე- გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

ვლადიმერ ლომთათიძე- გამგეობის ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახურის უფროსი.

ნინო ვაჩეიშვილი- გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადებისა და ექსპერტიზის საკითხებში.

სხდომას ესწრებოდა გაზეთ ,,გურია ნიუსის“ კორესპონდენტი- ნატო გოგელია;
ანა თავართქილაძე- ჩოხატაურსა და ლანჩხუთში მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს წარმომადგენელი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში.
ანსამბლი ,,ნართის“ წარმომადგენლები: ელზა სიხარულიძე, თემურ ჩხიკვაძე, ნინო სიხარულიძე.
მარიამ მამალაძე- გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის პროექტის კოორდინატორი.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომის დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი შემდეგი ფორმულირებით:

1. სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისად პირველ კვარტალში გაცემული დახმარებების შესახებ.
2. 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.
3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.
4. ,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლ ,,ნართი -სათვის“ ვარდო თოდრიას სახელის მინიჭების შესახებ.
5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯრო სკოლისათვის გელა ბელაუსოვის სახელის მინიჭების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე.
6. .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

8. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის, დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოდერძი გოგიშვილმა, ვლადიმერ სიხარულიძემ, მარინე ბერაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე _ 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა 30 წევრი)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მიხედვით პირველ კვარტალში გაცემული დახმარებების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

2. 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ვლადიმერ ლომთათიძე

4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლ ,,ნართი-სათვის" ვარდო თოდრიას სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ვაჩეიშვილი

5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯრო სკოლისათვის გელა ბელაუსოვის სახელის მინიჭების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

6. .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების

შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი:მარინე ბერაძე

7. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

8. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ'' დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

10. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის, დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

I საკითხი: სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესაბამისად პირველ კვარტალში გაცემული დახმარებების შესახებ.

მოისმინეს:

სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიშს, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მიხედვით პირველ კვარტალში გაცემული დახმარებების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> მამია ბარამიძემ (ენმ) აღნიშნა, რომ საკრებულო წინასწარ განსაზღვრავს ყველა პროექტის და პროგრამის მიმდინარეობის შესახებ წესს, რაც არის დაგეგმილი წლის განმავლობაში, თქვენთან როგორც სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის უფროსთან, მაქვს შეკითხვა: სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარის გარდაცვალებისა და ახალის ვერ არჩევის გამო ხომ არ გექმნებათ დისკომფორტი მუშაობაში.

ნიკოლოზ დუმბაძე- ჯერ- ჯერობით არა. ვმუშაობთ სოციალურ საკითხთა კომისიის წევრებთან.

ირაკლი ახობაძე- თქვენ, წარმოადგინეთ პირველი კვარტლის ანგარიში. ხართ თუ არა კმაყოფილი პირველი კვარტლის მუშაობით?

ნიკოლოზ დუმბაძე- ვფიქრობთ, რომ პირველ კვარტალში დამაკმაყოფილებლად ვიმუშავეთ.

ირაკლი ახობაძე: პირველი კვარტალის მონაცემებით ირკვევა, რომ დელეგირებული უფლებამოსილებით გათვალისწინებულია დევნილების დახმარება. ამ მიმართულებით თქვენ 200 ლარი დახარჯეთ. წინა წლის დავალიანება გადაიხადეთ 4400 ლარი. მაინტერესებს, გეგმით რა იყო პირველ კვარტალში გათვალისწინებული დევნილთა დახმარებაზე?

ნიკოლოზ დუმბაძე- 2700 ლარი იყო პირველი კვარტლის გეგმა.

ირაკლი ახობაძე- გამოდის, რომ პირველი კვარტლის დელეგირებული უფლებამოსილების გეგმა არ შესრულდა.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული სოციალურ საკითხთა და კულტურის სამსახურის ანგარიში, მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების მიხედვით პირველ კვარტალში გაცემული დახმარებების შესახებ.

II საკითხი: 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

მოისმინეს:

2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ აღნიშნა, რომ სარეზერვო ფონდი იქმნება გაუთვალისწინებელი ხარჯისთვის. როდესაც ბიუჯეტს ამტკიცებ, თუ გაქვს ვინმეს ვალი, წინასწარ იცი. რატომ დაიხარჯა გაუთვალისწინებელში გათვალისწინებული ვალის თანხა. კანონი ხომ არ გვაძლევს ამის უფლებას.

მაია გოგოლაძე- სარეზერვო ფონდიდან იყო გამოყოფილი თანხები, რაც ვერ გავხარჯეთ.

ირაკლი ახობაძე: პირველი კვარტლის ანგარიშიდან ირკვევა, რომ სასარგებლო წიაღისეულიდან, კერძოდ: ნაბეღლავიდან შემოსული თანხა შარშანდელთან შედარებით 150 000 ლარით ნაკლებია. ე.ი. შარშანს შემდეგ არაფერი არ შეცვლილა. აქედან გამომდინარე, წინსწრებად გვქონდა ნაბეღლავიდან 100 000 ლარი აღებული წლევანდელი წლის ხარჯზე და ამიტომაცაა რომ ვამცირებთ ა(ა)ი.პ-ებში ხელფასებს, სოციალურ პროგრამებს და ა.შ.

მიღებულია განკარგულება: ცნობად იქნა მიღებული 2017 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის შესახებ.

III საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი:ვლადიმერ ლომთათიძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ირაკლი ახობაძემ და იკითხა: ეს ნუსხა, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ, პიროვნებების განცხადების საფუძველზეა წარმოდგენილი?

ვლადიმერ ლომთათიძე- არასასოფლო- სამეურნეო დანიშნულების მიწა სოფელ კოხნარში და სოფელ ბჯოლიეთში, მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზეა შეტანილი საპრივატიზებო ნუსხაში.ხოლო შენობა-ნაგებობა (ტუალეტი) არასასოფლო- სამეუნეო დანიშნულების მიწა მუნიციპალიტეტის ინიციატივით განიხილება.

დავით ტყეშელიაძე დაინტერესდა- იგეგმება თუ არა ,, გურია ნიუსის" გვერდით მდებარე შენობის გამაგრება, განახლება ან საერთოდ დემონტაჟი, როდემდე შეიძლება ვუცქიროთ დაბის ცენტრში მდებარე ამ უსახურ შენობას.

ზვიად მამალაძე- რას ველოდებით ამ შენობის დანგრევას? რომ დაინგრეს, ჩვენი საკუთრება დაიკარგება?

ვლადიმერ ლომთათიძე- მიმდინარეობს მოლაპარაკება სამ პირთან, ვის თანასაკუთრებაშიცაა ამ შენობის პირველი სართული. მეორე სართული არის მ,უნიციპალიტეტის. მანამდეც გვქონდა ამ საკითხზე მუშაობა და დღეს შევთანხმდებით მხარეებთან პროექტირებაზე, რადგან ცალ-ცალკე არაფერი გამოვა.

მაია პაიჭაძე- მესმის, რომ კერძო პირებისაა ეს შენობა, მაგრამ გაცნობიერებული აქვთ თუ არა ამ ადამიანებს რას ნიშნავს უსაფრთხოება. ვინ არის პასუხისმგებელი, რომ ბავშვი შევიდეს შენობაში, ჩამოინგრეს იგი და მოხდეს საშინელება. ეს არის დაბის იერსახეზე ზრუნვა? ჩემს კომისიაზეც დაისვა ეს საკითხი. გთხოვთ, დროულად მიიღოს შესაბამისმა სამსახურებმა აღნიშნულზე გადაწყვეტილება.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ.

IV საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლ ,,ნართი"-სათვის ვარდო თოდრიას სახელის მინიჭების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლ ,,ნართი-სათვის" ვარდო თოდრიას სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: ნინო ვაჩეიშვილი

<u>აზრი გამოთქვა:</u> მამია ბარამიძემ, კობა კალანდაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ფოლკლორული ანსამბლ ,,ნართი-სათვის" ვარდო თოდრიას სახელის მინიჭების შესახებ.

V საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯარო სკოლისათვის გელა ბელაუსოვის სახელის მინიჭების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯარო სკოლისათვის გელა ბელაუსოვის სახელის მინიჭების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> გოჩა ჯიქიამ, ვლადიმერ სიხარულიძემ, დავით ტყეშელიაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ გორაბერეჟოულის საჯარო სკოლისათვის გელა ბელაუსოვის სახელის მინიჭების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის გაცემის თაობაზე.

VI საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

.ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> დათო ვაჩეიშვილმა, კობა კალანდაძემ, მამია ბარამიძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: .ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში პეტიციის წარმდგენი (მხარდამჭერი) ამომრჩევლების სიის ბლანკის, პეტიციის ფორმის (განცხადების) და პეტიციის განხილვის თაობაზე განცხადების რეგისტრაციის მოწმობის დამტკიცების შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 თებერვლის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VII საკითხი: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: ნიკოლოზ დუმბაძე

აზრი გამოთქვა: მამია ბარამიძემ (ენმ) აღნიშნა, რომ თითქოს მიზეზი იმისა, რომ დოკუმენტი არ მისცა კლინიკამ დაავადებულ ადამიანს სისხლის ანალიზზე, ამას ვერ დავიჯერებ. თუ კლინიკას არ შეუძლია ფორმა 100- თან ერთად გასცეს შესაბამისი დოკუმენტაცია, თუ იურიდიული პირი არის რაღაც დაწესებულება, მას არ შეუძლია ამ დოკუმენტების გაცემა რაზეც თქვენ საუბრობთ? დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი. მაშინ გავუშვათ სხვადასხვა მუხლიდან ამ ეპილეფსიით დაავადებულ ბავშვებზე დახმარება. რასაც თქვენ ამბობთ, ეს არის არამიზნობრივი ხარჯვა.

მაია პაიჭაძე- ჩვენ მივცეთ ადამიანებს საშუალება, რომელთაც მძიმედ ყავთ შვილები ავად და ამ თემით მანიპულირება არ არის საჭირო. მე პრაქტიკაში შემექმნა ის პრობლემა, რომ კლინიკები უარს ამბობდნებ ელექტრონულ კომუნიკაციაზე, რომ წარმოედგინათ ანგარიშფაქტურა და ჩვენ ჩაგვერიცხა თანხა. აქ საუბარია ისეთ ბენეფიციარებზე, ვისაც გზის ფულიც არ აქვთ, რომ ჩავიდნენ თბილისში და ასეთ ადამიანებთან დაკავშირებით ამდენი საუბარი სირცხვილია. მაქვს მკაცრი მონიტორინგი და ყველას მოაქვს შესაბამისი დოკუმენტაცია.

ირაკლი ახობაძე- რადგან ამ საკითხზე ამდენი დავა მიმდინარეობს, უმჯობესია ამ პროექტთან დაკავშირებით მოამზადოს სოციალურმა კომისიამ თანამოხსენება, წარმოგვიდგინოს დეპუტატებს და ვიმსჯელოთ ამ საკითხზე. ასევე საფინანსო-საბიუჯეტო კომისიამაც მოამზადოს დასკვნა ამ საკითხთან მიმართებაში.

ნატო გოგელია- თქვენ რაზეც საუბრობთ, ეს არის სერიოზული დანაშაული. მაგ კუთხით კანონშიც შედის ცვლილებები, რომ კლინიკები არ იძლევიან ანგარიშფაქტურებს. ეს კანონდარღვევაა, როცა კლინიკები ვერ წარმოადგენენ ანგარიშფაქტურებს და თქვენ იცით ამის შესახებ და მალავთ?!

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N31 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

VIII ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ვლადიმერ სიხარულიძემ, ირაკლი ახობაძემ, აკაკი ყაჭეიშვილმა.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბერის №30დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

IX საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული,

მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

<u>აზრი გამოთქვა:</u> ოთარი სოროზანიშვილმა, დიმიტრი კორიფაძემ, მაია პაიჭაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში კურორტ ბახმაროს ტერიტორიაზე წვრილფეხა და მსხვილფეხა პირუტყვის ყოლისა და უმეთვალყურეოდ მიტოვებული, მოხეტიალე პირუტყვის დაჭერა-იზოლირების წესის დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

X საკითხი: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის, დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მოისმინეს:

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის, დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

აზრი გამოთქვა: მაია პაიჭაძემ, კობა კალანდაძემ, დავით ტყეშელიაძემ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი დააყენა ღია კენჭისყრაზე

ღია კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 30

წინააღმდეგი _ 0

(კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 30 წევრი)

მიღებულია განკარგულება: ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის, დამტკიცების შესახებ დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ განცხადება გააკეთა საკრებულოს წევრმა- გოდერძი გოგიშვილმა:

ამ ტრიბუნიდან შეიძლება ადრეც მინდოდა ზოგიერთ საკითხებზე ყურადღების გამახვილება, მაგრამ თავი შევიკავე. არის ასეთი გამოთქმა ,,ყუამდეა დასულიო", რას მინდა დაუკავშირო ეს გამონათქვამი? რა მაქვს მხედველობაში? - მოგეხსენებათ ,რომ მკაცრდება კანონები და პირველი ივლისიდან შემოდის ახალი რეგულაციები საგზაო მოძრაობის წესებთან დაკავშიებით .მინდა ზოგადი მიმოხილვა გავაკეთო და ჩემი წინადადება წარმოვადგინო თქვენს წინაშე,თუ იქნება მისაღები ,მაშინ მივიღოთ, თუ არა და ისიც განვიხილოთ. დღეს სხდომას ესწრება 30 დეპუტატი. ეს იმას ნიშნავს, რომ უმრავლესობაა თითქმის წარმოდგენილი და ჩემს ნათქვამს ყველა გაიგონებს. ჩვენ, საკრებულოს პირველი სხდომა ჩავატარეთ 2014 წლის 14 ივლისს, სექტემბრის თუ ოქტომბრის თვე იყო, შემოვიდა წერილი მუნიციპალიტეტის გამგეობიდან, მოთხოვნა იყო 15,0 ათასი ლარის გამოყოფა საგზაო ნიშნების მოწესრიგებასთან დაკავშირებით. ყველამ ხელი ავუწიეთ

ამ გადაწყვეტილებას, რომელიც დღემდე არ განხორციელდა. დღეს მე ვამახვილებ ყურადღებას იმდენად, რამდენადაც ეს არის ერთ დარჩენილ თვეში მოსაწესრიგებელი საკითხი. (დრო ,,ყუამდეა დასული") მე ვარ მძღოლი ამ შემთხვევაში, რომელიც ვიცავ

საგზაო მოძრაობის წესებს. ჩემთვის ამ საკითხის მოწესრიგება არის ფრიად მნიშვნელოვანი. იმ მძღოლისთვის, ვინც არღვევს საგზაო მოძრაობის წესებს, სულერთია ნიშანს დადგამ თუ არა. აქ ჯარიმაზე არ არის საუბარი,აქ უსაფრთხოების დაცვაა მნიშვნელოვანი.

ცნობისთვის, იმ 15 ათას ლარზე გავამახვილებ ყურადღებას: როდესაც მოვიკითხეთ ამ თანხით აღნიშნული საკითხის მოგვარება, 2014 წლის დეკემბრის თვე იყო ,ბატონმა ზვიადმა (ფრაქცია,, ქართლი ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე) განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხი არის პროექტირებაზეო. მინდა გითხრათ, რომ სამი წელიწადი არ უნდა იყოს საჭირო პროექტირებისთვის.

მიმოვიხილავ სამივე წელიწადს 2015, 2016 და 2017 წლის პირველ კვარტალს. გამგეობის საფინანსო სამსახურის ინფორმაციით საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის 2015 წელს ჯარიმის სახით შემოსულია 71,3 ათასი ლარი. 2016 წელს 50,5 ათასი ლარი და ამ წლის პირველ კვარტალში 9,3 ათასი ლარი. სულ 131 100 ლარი. რატომ ვამახვილებ ფულზე ყურადღებას, იმიტომ რომ ფული საზღვრავს დღეს საქმის გაკეთებას. 131 100 ლარი არსაიდან გაჩნდა ჩვენი ბიუჯეტისთვის. რომ არ დაერღვია ვინმეს საგზაო მოძრაობის წესები, ,ხომ არ გაჩნდებოდა ეს ფული?! ფული გაჩნდა. დაემატა გადაწყვეტილებით გამოყოფილი 15 000 ლარი. მაშინ,რატომ არ დაიხაზა და მოწესრიგდა ჩოხატაურში საგზაო ნიშნები დღემდე?

რადგან ეს არის ერთ თვეში მოსაგვარებელი პრობლემა, მე ვხედავ იმ გარემოებას ,რომ აქ დგას საქმე ისე ,რომ არ გაკეთდეს ეს საქმე. თუ ეს ასეა, მაშინ აქ ვართ 30 დეპუტატი და ვთქვათ, რატომ არ უნდა დაიხაზოს ჩოხატაურში გზები და რატომ არ უნდა დაიდგას საგზაო ნიშნები. რომელიც დადგმულია,ისიც არასწორადაა დადგმული.

ამიტომ ,რადგან ახალი რეგულაციები შემოდის 2017 წლის 1 ივლისიდან, საკრებულოს სხდომის ამ ტრიბუნის სახელით მოვითხოვ, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში ეს საკითხი მოაგვაროს შესაბამისმა სამსახურმა. ჩემი გამოსვლა დაფიქსირდეს ოქმში და მიეცეს შესაბამისი მიმართულება. თუ შესაბამისი სამსახური ვერ მოაგვარებს ამ საკითხს ამ ერთი თვის განმავლობაში და ჩვენ არ მოგვეცემა შესაძლებლობა რომ პირველი ივლისიდან ვიმოძრაოთ ახალი საგზაო წესებით, რაც არის უმკაცრესი რეჟიმი, მაშინ მე გთავაზობთ ასეთ წინადადებას: შემდეგი სხდომა იქნება მომავალი თვის ბოლოს და მანამდე მივცეთ დრო კიდევ ერთი თვე და თუ კვლავ არ მოგვარდება აღნიშნული საკითხი, მომავალ სხდომაზე (ივნისის ბოლოს) დადგეს საკითხი იმ ხელმძღვანელი პირის, ვისაც ევალება ამ საკითხის მოგვარება და ვერ

მოაგვარა. საკითხს უნდა მიეცეს სათანადო შეფასება. ვიმეორებ, დრო არის ,,ყუამდე დასული.“ თუ დაუჭერთ ჩემს ამ წინადადებას მხარს და ერთობლივად მივცემთ მიმართულებას, რომ ამ ერთი თვის განმავლობაში გაკეთდეს ეს საქმე, ხომ კარგი, თუ არა და სხვა შემთხვევაში მოხდეს ამ საკითხის სათანადო

შეფასება მომდევნო სხდომაზე. თუ ასე მოვიქცევით ხომ კარგი, თუ არა და მაშინ ჩავთვლი რომ ჩვენ არ გვდომებია ამ საკითხის მოგვარება.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა